

დამტკიცებულია
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა
აგარის საჯარო სკოლის დირექტორის
მიერ
2016 წლის 27 აგვისტოს N2-183
ბრძანებით
(ცვლილება 2019 წლის 25 იანვრის N2-08
ბრძანება)
დირექტორი /დ. ბეგიაშვილი/



სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
განხორციელების ხარისხის შეფასება**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება
შინაარსი**

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ ადაპტაცია, დამტკიცება.....	3
მუხლი 3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მიზნები და ამოცანები.....	3
მუხლი 4.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები.....	5
მუხლი 5.	დასკვნითი დებულებანი	6
დანართი 1	კითხვარი ადმინისტრაციისათვის.....	7
დანართი 2	კითხვარი სტუდენტებისათვის	10
დანართი 3	კითხვარი მასწავლებლისათვის.....	12

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების საკითხებს, როგორცაა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ ადაპტაცია, დამტკიცება.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მიზნები და ამოცანები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციის კითხვარები.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ ადაპტაცია, დამტკიცება

1. სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ ადაპტაციას ახორციელებს სკოლის პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი შეფასების ჯგუფთან ერთად.
2. პროფესიულ პროგრამაში შესატან ცვლილებას განიხილავს შეფასების ჯგუფი ხარისხის მენეჯერთან ერთად.
3. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება ახალი ბრძანებით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
4. შეფასების ჯგუფის შემადგენლობაშია პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას ახორციელებს დაწესებულების უფლებამოსილი პირი - სკოლის დირექტორი.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მიზნები და ამოცანები

1. სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა (შემდგომში - სისტემა) წარმოადგეს სკოლის საორგანიზაციო

სტრუქტურის, დოკუმენტაციის (შიდა დებულებები, პროცედურების განხორციელების წესები, მეთოდური მითითებები, ინსტრუქციები), პროცესების და რესურსების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ხარისხის საერთო მართვისა და კონტროლისთვის.

2. სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს დაგეგმვა-განხორციელება-შეამოწმე-შეასწორე.
2. სისტემის ფარგლებში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი, რომლის მიზანია სპეციფიკური ინდიკატორების (მაჩვენებლების) მიხედვით მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების მონიტორინგის პროცესის ძირითადი ამოცანებია:
 - მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;
 - მოდულური პროფესიული პროგრამებისა და მოდულების პოტენციური ხარვეზების იდენტიფიცირება პროგრამის/მოდულის შინაარსში, სტრუქტურასა და ფორმატში, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში დახვეწა;
 - ადამიანური და მატერიალური რესურსების საჭიროებების ანალიზი;
 - სახელმძღვანელოების/საგანმანათლებლო რესურსების კუთხით საჭიროებების ანალიზი.
 - პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა
4. სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა მონიტორინგი მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:
 - სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
 - სასწავლო და კალენდარული გეგმების გახორციელება;
 - სასწავლო მასალისა და საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა;
 - სწავლის შედეგის მიღწევა;
 - მასწავლებლის ცოდნა/უნარები შეფასების მიმართულებების და ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლების მეთოდებთან;

- საგანმანათლებლო პროცესის მართვა და ლოჯისტიკა.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები

1. სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგს ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი.
2. შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:
 - სკოლის დირექტორი ან/და სკოლის პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი;
 - პროგრამის ზოგად/ტრანსფერულ მოდულების მასწავლებლები;
 - პროფესიული მოდულების მასწავლებლები,
 - დამსაქმებელი/დარგის სპეციალისტი;
 - მოწვეული ექსპერტი/ექსპერტები.
3. შიდა მონიტორინგის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - შიდა მონიტორინგის გეგმის შემუშავება
 - მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ სასწავლო გეგმისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
 - მონიტორინგის ჯგუფის წევრების დასწრება მეცადინეობებზე;
 - მონიტორინგის ჯგუფის სხდომა, რომელზეც მოხდება გაკვეთილის მსვლელობის, სასწავლო გეგმის და სხვა პრობლემების განხილვა
 - მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონიტორინგის ანგარიშის მომზადება,
 - მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
 - საჭიროების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კორექტირება;
 - გამოვლენილ საჭიროებათა საფუძველზე მოსალოდნელი პრობლემური საკითხების პრევენცია.
5. სკოლაში შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, ადმინისტრაცია და ა.შ) გამოკითხვა.
7. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით (იხ. დანართები 1, 2, 3)

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას“ ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება
კითხვარი ადმინისტრაციისათვის

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია	
დაწესებულების სახელწოდება	
დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	
სკოლის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	

ინფორმაცია დაწესებულებაში განსახორციელებელი ყველა მოდულური პროგრამის/პროგრამების /მოდულების შესახებ

მოდულის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	მოდულის ანმახორციელებელ მასწავლებლები	მოდულის დაწყების და დასრულების თარიღი	კვირეული დატვირთვა	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მოდულის მიმდინარეობაზე დასწრების სავარაუდო თარიღები
პროგრამა 1 (დასახელება):					
1.		1. 2.			
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
პროგრამა 2 (დასახელება) :					
1.					
2.					
3.					
4.					

1. პროგრამების განხორციელების ადმინისტრირება

#	ღონისძიებები/კრიტერიუმები	დიახ	არა	კომენტარი
	1. პროცესის დაგეგმვა			
1	ადმინისტრაციულ პერსონალს (დაწესებულების ხელმძღვანელს;			

	სასწავლო პროცესის ხელმძღვანელს; ხარისხის სამსახურის უფროსს; პროგრამის ხელმძღვანელს და სხვა) აქვს ინფორმაცია მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნებისა და პროცედურების შესახებ			
დადასტურება:				
2	გაწერილია განხორციელების შიდა მონიტორინგის გეგმა თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით			
დადასტურება:				
3	დაწესებულებაში შექმნილია/ადაპტირებულია შიდა მარეგულირებელი აქტები მოდულების განხორციელებისათვის			
დადასტურება:				
4	განსაზღვრულია პროგრამის/პროგრამების განხორციელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი			
დადასტურება:				
5	განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი			
დადასტურება:				
6	აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთი ან მეტი მონაწილეობდა ხარისხის ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ ტრენინგებში			
დადასტურება:				
2. ადამიანური რესურსის მობილიზაცია				
1	მოდულის/მოდულების განმახორციელებელი პედაგოგი/პედაგოგები მონაწილეობდა მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში			
2	მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი მონაწილეობდა მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ტრენინგებში			
3. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მობილიზება				
1	სასწავლებელს სრულად აქვს პროგრამის/პროგრამებისთვის განხორციელებისთვის აუცილებელი დამხმარე ჩანაწერებით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა			
დადასტურება:				
3	პრაქტიკის ობიექტი/ობიექტები იდენტიფიცირებულია და ხელშეკრულებით დამოწმებული			
დადასტურება:				
4	პროგრამა/პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო სახარჯი მასალებით სტუდენტების რაოდენობის/ნორმატივების გათვალისწინებით			
დადასტურება:				
5	შემუშავებულია სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით			

	უწყვეტად უზრუნველყოფის მექანიზმი			
დადასტურება:				
6	უზრუნველყოფილია დახარჯული მასალების აღიცხვიანობა			
დადასტურება:				
	4. სწავლება და შეფასება	დიახ	არა	
1	შემუშავებულია პროგრამის/პროგრამების სასწავლო გეგმა			
დადასტურება:				
2	შემუშავებულია პროგრამის/პროგრამების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ სტუდენტებისთვის			
დადასტურება:				
3	შემუშავებულია მოდულის/მოდულების კალენდარული გეგმა			
დადასტურება:				
4	სწავლება დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულის ჩანაწერების შესაბამისად: <ul style="list-style-type: none"> • საათების განაწილება • სწავლების მეთოდები • თემატიკა 			
დადასტურება:				
5	შეფასება დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულის ჩანაწერების შესაბამისად <ul style="list-style-type: none"> • შეფასების ხანგრძლივობა • მიდგომები • მიმართულებები • ინსტრუმენტები 			
დადასტურება:				
	5. შიდა დაკვირვება და შეფასება			
1	ხორციელდება რეგულარული დაკვირვება პროგრამის/პროგრამების განხორციელებაზე მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, სადაც გაწერილია ვადებიც და პასუხისმგებელი პირები.			
დადასტურება:				
2	ხორციელდება მასწავლებელთან მუდმივი და ეფექტური კომუნიკაცია, შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით			
დადასტურება:				
3	მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ სისტემატური საგაკვეთილო ჩანაწერების/დღიურის და პორტფოლიოს წარმოება <i>(ამ ეტაპისთვის სავალდებულო არ არის, თუმცა ვიწყებთ ამ მიდგომის დანერგვას)</i>			
დადასტურება:				

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება
კითხვარი სტუდენტებისათვის

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	
მოდულის დასახელება	
მოდულის მასწავლებელი	

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში.

გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს მოდულური სწავლების პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

№	კითხვები	დი ახ	ნაწი ლო ბრი 3	არა	კომენტარი /რეკომენდაცია.
1. მომზადება					
1.	სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				
2. სასწავლო პროცესი					
7.	მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას				
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას				
9.	მასწავლებელი სისტემურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით				
10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს				
11.	მოდულზე გათვალისწინებული საათები				

	საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?				
3. რესურსები და სასწავლო გარემო					
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.				
13.	სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია				
14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით				
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი				
16.	გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)				დიახ“ შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ:
კომენტარი:					

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:					
ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას					

კითხვარის შევსების თარიღი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება
კითხვარი მასწავლებლისათვის

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	
პროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელება	
კრედიტების რაოდენობა	
მასწავლებლის სახელი და გვარი , საკონტაქტო ინფორმაცია	

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერის ფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირებას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

N	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	შენიშვნები/რეკომენდაციები
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				
4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის?				
6.	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?				
7.	გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?				
8.	საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?				
9.	თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?				
10.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				
11.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				
12.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ				

	სწავლის შედეგებს?				
13.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				
14.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				
15.	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?				
16.	ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				
17.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				
18.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				
19.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				
20.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?				
<p>შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.</p> <p><i>საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი კომენტარი, წინადადებები:</i></p>					

კითხვარის შევსების თარიღი: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____